

ენათმეცნიერება Linguistic

სემანტიკა „ქარი“ პოეტურ მეტყველებაში

სოფიო ქიტესაშვილი

ევროპის უნივერსიტეტი

e-mail: [Kitesashvili.sopio@gmail.com](mailto:Kitesashvili.sopio@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.12>

**SJIF 2024: 8.268**

სიტყვა „ქარის“ მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტის მიხედვით არის შესაძლებელი. სწორედ მხატვრული ნაწარმოების ელემენტთა ურთიერთქმედებისას ავლენს ქარი კონოტაციურ მნიშვნელობებს. იგი ღრმა ქვეტექსტუალურ დატვირთვას იძენს, რაც სიტყვის შინაგან გააზრებას, სიღრმისეულ გაგებას განაპირობებს.

ქარის განცდა პოეტურ მეტყველებაში განსხვავებულია. სემანტიკა „ქარს“ მრავალფეროვანი ემოციური მნიშვნელობა აქვს: სევდა, ტკივილი, შფოთი, მღელვარება, მრისხანება, სინანული, შიში, სინაზე, მონატრება. აღნიშნული მნიშვნელობები პოეტთა განწყობის მიხედვით იცვლება, ამიტომ ერთსა და იმავე პოეტის შემოქმედებაში „ქარის“ ემოციური მნიშვნელობა შეიძლება იყოს, როგორც სევდა, ტკივილი, ისე მრისხანებაც და სინაზეც.

„ქარის“ აღნიშნული შესაძლებლობა, პირველ რიგში, ვლინდება ენის შინაფორმის ღრმად შემგრძნობი შემოქმედის პოეტურ მეტყველებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ქარი, პოეტური მეტყველება, კონტექსტი

ენა მნიშვნელობის გადმოსაცემი ინსტრუმენტია. ამ ინსტრუმენტის სტრუქტურა ასახავს ენის ფუნქციას. მისი ასეთი სახით გაგება შესაძლებელია მხოლოდ ამ ფუნქციიდან გამომდინარე. გამოიკვლიო ენა ისე, რომ არ შეეხო მნიშვნელობას, ეს იგივეა, რაც შეისწავლო საგზაო ნიშნები მხოლოდ მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით.

ენა რთული და ამოუწურავია, მასში ჯერ კიდევ ბევრია დაუნჯებული. იგი ხორცშესხმას ელის, განსაკუთრებით კი პოეტური ენა, რომელიც ზედმიწევნით შესატყვისი ფორმაა სულიერი საზრისისათვის. შეიძლება ითქვას, რომ იგი არსით ფილოსოფიაა, ფორმით - მუსიკა. ჩვენ კი ვცდილობთ, შევისწავლოთ ამ სიდიადის ადეკვატური სიტყვიერი სამოსელი. „აზრის შინაგანი

მოძრაობა, გრძობათა ბუნება უნდა გაიხსნას სიტყვათა რიტმის და ჰარმონიის გარეგნულ მოძრაობაში, ფრაზების ნაირნაირობაში“ [ტაბიძე, 1992].

ჩვენ მიერ გამოკვლეული სიტყვა „ქარი“ შესულია ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, რომლის შესახებაც მეტად მდიდარი და საინტერესო მასალა აქვს შეტანილი სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში, რომელშიც ვკითხულობთ: „ქარი არს მზისა და ვარსკვლავთა მიერ ქვეყანით აღტაცებული სიმხურვალისა და სიხმელისა აღორთქლებადი და ჰაერთა შინა მოძრავი“ [ორბელიანი, 1993:213]. აღნიშნულ განმარტებას დართული აქვს ოცდაოთხი დასახელების ქარი, მხარეების მიხედვით. მიუხედავად ასეთი ვრცელი განმარტებისა, ქარი მაინც წარმოდგენილია თავისი პირვანდელი მნიშვნელობით, ანუ როგორც ბუნების სტიქია, ბუნებრივი მოვლენა.

მაგრამ როგორია ქარის სემანტიკა პოეტურ მეტყველებაში? პოეზიაში სიტყვა „ქარის“ მნიშვნელობის ნიუანსები კონტექსტის მიხედვით განისაზღვრება. ზუსტად კონტექსტში, მხატვრული ნაწარმოების ელემენტთა ურთიერთქმედებისას, ავლენს ქარი კონოტაციურ მნიშვნელობებს. სიტყვის მნიშვნელობის განსხვავება კონტექსტში იმდენად აშკარაა, რომ თვით ამ ცნების განსაზღვრაში გაიხაზება ეს ფაქტი: „კონტესტი არის მეტყველების აზრობრივად დასრულებული მონაკვეთი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობას, ან რომელიმე ლინგვისტური ფორმის მნიშვნელობა განისაზღვრება მის კონტექსტთა ერთობლიობით“ [ფოჩხუა, 1974:247].

„ქარი“ კონტესტში ღრმა ქვეტექსტუალურ დატვირთვას იძენს, რაც სიტყვის შინაგან გააზრებას, მის სიღრმეულ გაგებას განაპირობებს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ ტექსტიდან ქვეტექსტში ანუ გარეგნული მნიშვნელობიდან შინაგან გააზრებაში გადასვლის გზები... ქვეტექსტი იკვეთება განსაკუთრებით მხატვრულ ტექსტში. ზუსტად აქ, ტექსტის ზედაპირული „წაკითხვა“ არ გამორიცხავს მის სიღრმისეულ გაგებას“ [ლურია, 1998:313].

ჩვენ მიერ განხილულ ლექსებში, კონტექსტში მოცემულ ქარს ღრმა ქვეტექსტუალური დატვირთვა აქვს:

„ქარმა აისრულა განზრახული -

პერანგში შეძვრა და გაილურსა.“

„და შლიდა ბაირაღებს თმაგაწეწილი ქარი“

(გ. ტაბიძე)

ამ კონტექსტში „ქარი“ გლოვას ნიშნავს

გრიგალები ავდებოდნენ,

ზღვები ზეცას სწვდებოდნენ“ (მ. ლებანიძე)

სიტყვა გრიგალები, მოცემულ კონტექსტში, „თავსხმის“ მნიშვნელობითაა.

განსხვავებულ კონოტაციურ მნიშვნელობებს იძენს სიტყვა „ქარი“ სინტაგმაში, რომლებშიც იგი უკვე სინტაგმურ თვისებებს ავლენს. სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ასახვის ცვალებადი

ობიექტის მიმართ ადაპტაციას განიცდის. იგი ახლებურად გაიაზრება. სინტაგმაში შემავალი სიტყვები მაქსიმალურად დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისგან.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ ტექსტებში ძალიან ბევრი მეტაფორულ-ეპითეტური სინტაგმაა, როგორებიცაა: „ბავშვობის ქარი“, „ფრთამალი ქარი“, „გაფოთლილი ქარი“, „მართალი ქარი“, „მშვიერი ქარი“, „ყრმობის ქარი“ და სხვ.

ზემოჩამოთვლილი სიტყვათშეხამებანი განპირობებულია პოეტური აზრის გამოთქმის საჭიროებით. ძირითადად, სინტაგმათა კლასიფიკაციის შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

1. თავისუფალი სინტაგმები, როლებშიც საერთო მნიშვნელობა წარმოადგენს სინტაგმაში შემავალი ცალკეული სიტყვების ჯამს. აქ სიტყვების ერთად ხმარების საფუძველია გამოსახატავი სიტუაცია: „თოვლქყაპიანი ქარი“, „უდაბნოს ქარი“, „დარუბანდის ქარი“, „ზღვიდან მობერილი ქარი“ და სხვ.
2. განცალკევებული სინტაგმები, რომლებიც ტერმინოლოგიური ხასიათისაა: „აღმოსავლეთის ქარი“, „ცხელი ქარი“, „ცივი ქარი“, „ზურგის ქარი“, „ორპირი ქარი“ და ა.შ.
3. სინტაგმები, როლებშიც ერთი წევრის მნიშვნელობა ძალიან შორდება მათს მთავარ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც, შესიტყვების კონტექსტი შემადგენელი ელემენტების მიხედვით დაისკვნება: „ვნებათ ქარბუქი“, „სევდიანი ქარი“, „შორეული ქარი“, „ფრთამალი ქარი“, „ურჩი ქარები“, „ტკვარცალა ქარები“ და სხვ.
4. სინტაგმები, რომლებშიც სიტყვები შედარებით მყარად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. საერთო მნიშვნელობა არის არა შემადგენელი ელემენტების ჯამი, არამედ ამ ჯამის განზოგადება ან მეტაფორა, რაც ახალ მნიშვნელობებს ბადებს: „ბებერი ქარი“ („გვიანი შემოდგომა“), „გულს შემოსეული გრიგალები“ („დარდი“), „მობურტყუნე ქარი“ („სამდურავი“), „ფრთებშეტრუსული ქარი“ („შიში“), „მოხარხარე ქარი“ („ბოროტების აღწევება“) და სხვ.

განსხვავებულია ქარის განცდა პოეზიაში. პოეტები ქარში პოულობენ შინაგანი ტკივილისა თუ აღმაფრენის შეუზღუდავ შესაძლებლობებს.

რ. კარნაპი ნაშრომში „ფილოსოფია და ლოგიკური სინტაქსი“ აღნიშნავს: „მზე“ „ღრუბელი“ ან „ქარი“ ის კი არ არის, რომ გვამცნოს გარკვეული მეტეოროლოგიური პროგნოზი, არამედ ის, რომ გამოხატოს პოეტის გრძნობები და ასეთივე გრძნობები გაადვიდოს სხვაში“ აღნიშნულს ეხმიანება შ. ნიშნიანიძის სტრიქონები:

„ეს თოვლი მარტო თოვლი არ არის,  
ეს ქარიც მარტო ქარი არ არის,  
ისინი სადღაც შიგნით მალავენ  
მას, რაც არ იყო დასამალავი.“

ჩვენ მიერ განხილულ პოეტთა შემოქმედებაში ქარს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციური მნიშვნელობები: სევდა, ტკივილი, მრისხანება, შფოთი-მღელვარება, სინაზე და მონატრება. რადიკალურად განსხვავებულ ემოციათა ბალანსი დარღვეულია, ანუ ერთნაირი რაოდენობით მოცემული პოზიტიური და ნეგატიური ემოციური მნიშვნელობები არ გამოიკვეთა.

გ. ტაბიძის, ო. ჭილაძისა და მ. ლებანიძის პოეზიაში ჭარბობს „ქარის“ უარყოფითი ემოციური მნიშვნელობები: გალაკტიონთან - სევდა, ტკივილი; ჭილაძესთან - მრისხანება, დაუნდობლობა; ლებანიძესთან - შფოთი, მღელვარება. შ. ნიშნიანიძის პოეზიაში ჭარბობს დადებითი ემოციური მნიშვნელობები: სინაზე, მონატრება. გამონაკლისია ტერენტი გრანელი, რომლის შემოქმედებაშიც სიტყვა „ქარი“ დადებითი ემოციური მნიშვნელობით საერთოდ არ მოიპოვება.

„ქარის“ მნიშვნელობების მრავალფეროვნებამ ცხადყო, რომ სიტყვა „ქარის“ ემოციური კონტექსტი პოეტის განწყობის მიხედვით იცვლება.

„ქარი“ გ. ტაბიძის, ო. ჭილაძისა და ტერენტი გრანელის პოეზიაში სულის სიმბოლოა, პირდაპირ, სულის თვითგამოხატვაა:

ეს მე ვარ ქარი, ეს მე ვარ ქარი,  
დავდივარ ბარად, ვოცნებობ მზეზე... (გ. ტაბიძე).  
„და სიბნელიდან გამოდის ბავშვი,  
რომელსც ბევრი სინათლე სურდა,  
რომელმაც უცებ იპოვა ქარში  
დიდი მსგავსება საკუთარ სულთან“ (ო. ჭილაძე).

ტერენტი გრანელისთვის ქარის ოდნავი რხევაც კი მის სულიერ განწყობას ამძიმებს და თრგუნავს. პირდაპირ ემოციური პარალელიზმებია გრანელის სულსა და ქარს შორის: „ელავს ჩემი შორეული სევდა//ამოვარდა საშინელი ქარი“;

„მე განვიცადე ეს ქარიშხლი//მე განვიცადე დიდი წამება“;  
„უცებ იკივლეს ღამის ქარებმა// და უცებ დადგა შავი დროება“;  
„წამება ისევ წინ არი//ფრთები აიშვა გრიგალმა“...

თუ ტაბიძის, გრანელის და ჭილაძის „ქარი“ სულის სიმბოლოა და მის ძვრებს ასახავს, ლებანიძის „ქარი“ ცხოვრებისეული დინამიკის, ცვალებადობის სიმბოლოა:

„მე გადავწყვიტე სიკვდილი გვიან!  
კი, იმნაირი ქარები ჰქრიან,  
მე უნდა ვნახო მზე, მთვარის სასძლო  
ამ საუკუნის ბოლომდე გავძლო!..  
დაწრიალებენ ქარები ჯარად  
არის ტრიალი მსოფლიო ჩარხის.“

კვლევის პროცესმა ცხადყო, რომ სემანტემა „ქარს“, როგორც ენობრივ ერთეულს, შეუძლია წარმოაჩინოს ემოციათა ფართო სპექტრი, ასევე სხვა ენობრივ სისტემებთან დაკავშირებული კონტექსტუალური თუ ემოციური ნაირგვარობა. „ქარის“ აღნიშნული შესაძლებლობა, პირველ რიგში, ვლინდება ენის შინაფორმის ღრმად შემგრძნობი შემოქმედის პოეტურ მეტყველებაში.

#### ლიტერატურა:

1. გრანელი ტ., პოეზია, ტ.1, თბილისი, 1991;
2. Carnap R., Philosophy and Logical Syntax, 1935;
3. Gvinianidze, Tamar. (2023). "Lectures of a General Review Nature in the Teaching of Georgian Literature". *Language and Culture* (May 26, 2023). Accessed March 25, 2024.  
<https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1875>.
4. კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები; თბილისი, 1995;
5. ლებანიძე მ., რჩეული ლირიკა, თბილისი, 1977;
6. ლურია ა., ენა და ცნობიერება, როსტოვი, 1998;
7. ნიშნიანიძე რ., მე და შენ, თბილისი, 1956;
8. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ.2, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1993;
9. რამიშვილი გ., ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თვალსაზრისით, თბილისი, 1995;
10. ტაბიძე გ., უბის წიგნაკი, თბილისი, 1992;
11. ტაბიძე გ., არტისტული ყვავილები, თბილისი, 1993;
12. ტაბიძე გ., თხზულებანი, ტ.12, თბილისი, 1995;
13. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974;
14. ჭილაძე ო., ლექსები, პოემები, თბილისი, 1991;
15. ჯორბენაძე ბ., პოეზიის ენა, თბილისი, 1999

**Sophio Kitesashvili**

European Univeristy

e-mail: [Kitesashvili.sopio@gmail.com](mailto:Kitesashvili.sopio@gmail.com)<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.12>**SJIF 2024: 8.268****Semanteme “wind” in Poetic speech**

## Abstract

The meaning of the word “wind” can be determined depending on the context. It is in the interaction of the elements of the artistic work that the wind reveals its connotative meanings. It acquires a deep subtextual load, which leads to the inner understanding of the word, in-depth understanding.

The feeling of wind in poetic speech is different. Semantema “wind” has a variety of emotional meanings: sadness, pain, anxiety, excitement, fury, regret, fear, tenderness, longing. The mentioned meanings change according to the mood of the poet, therefore, in the works of the same poet, the emotional meaning of “wind” can be sadness, pain, anger and tenderness. The aforementioned possibility of “wind” is first of all manifested in the poetic speech of the creator who deeply feels the domestic form of language.

Key words: wind, poetic speech, context.

**რეცენზენტი:** პროფესორი ნელი ვასილევა